**სკოლა აისის ფინანსური მდგრადობის ანგარიში**

**( 2025-26)**

სკოლა აისი 25 წელზე მეტია რაც დაფუძნდა, ამ წლების განმავლობაში ის ჩამოყალიბდა, როგორც სტაბილური და მზარდი საგანმანათლებლო დაწესებულება. მისი ფინანსური მდგრადობა დაფუძნებულია კარგად დაგეგმილ რესურსების განაწილებაზე.

სკოლა აისი მუდმივად ვითარდება და ფართოვდება, ახალი სასწავლო რესურსების, ინფრასტრუქტურისა და სწავლების მეთოდების დანერგვით. ჩვენ ვზრუნავთ ხანგრძლივი და მდგრადი ბიზნესის შექმნასა და შენარჩუნებაზე, რათა მომავალ თაობებს შევთავაზოთ ხარისხიანი განათლება.

**ფინანსური მდგრადობის ანგარიში:**

1. შემოსავლის განაწილება: კომპანიის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 40% იხარჯება ოპერაციული ხარჯების დაფარვაზე, რაც ხელს უწყობს ფინანსურ სტაბილურობას და ზრდას.

2. განვითარება და ინოვაციები: 30% იხარჯება ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის კონკურენტუნარიანობასა.

3. სარეზერვო ფონდი: შემოსავლის 20% იდება სარეზერვო ფონდში, რათა სკოლა გაუმკლავდეს პოტენციურ რისკებსა და გაურკვევლობას. ეს ყოველივე გვაძლევს ფინანსურ სიმყარეს კრიზისული სიტუაციების დროს.

4. სოციალური პასუხისმგებლობა: შემოსავლის 10% მიმართულია სხვადასხვა სოციალურ პროექტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ კომპანიის დადებით იმიჯის შენარჩუნებასა და თანამშრომლების მოტივაციას. ეს ყოველივე უზრუნველყოფს "სკოლა აისის" გრძელვადიან ფინანსურ  მდგრადობასა და მომავალ წარმატებებს. სკოლა აისი 25 წლის განმავლობაში განმავლობაში მტკიცე ფინანსური დისციპლინით გამოირჩევა.

<u>მას არასდროს ჰქონია საბიუჯეტო  ან სახელფასო დავალიანება, რაც ხაზს უსვამს მის ფინანსურ სტაბილურობასა და ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას.</u>

აგრეთვე შპს „სკოლა აისი “ საქართველოს ყველაზე რეიტინგულ ბანკებში მიიჩნევა სანდო პარტნიორად და სარგებლობს საუკეთესო ავტორიტეტით. სკოლა აისი ყოველთვის დროულად ასრულებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მისი, როგორც სანდო და მდგრადი ორგანიზაციის რეპუტაციას